პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სსრკ კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 7 იანვარი, 1943 წ. № 5 (6630). ფასი 15 კაპ.

უკანასკნელ საათს

ჩვენი ჯარების ნაღავლი და მოწინააღმდეგის ზარალი სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით

1943 წლის 1-დან 5 იანვრამდე ჩვენმა ჯარებმა სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 27 თვითმფრინავი, 56 ტანკი, 429 ტყვიამფრქვევი, 267 ნაღმსატყორცნი, 1.016 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 10.000 ავტომატი, 15.770 შაშხანა, 3.000.000-ზე მეტი ყუმბარა, 20.000.000 მეტი ვაზნა, 500.000 ავიაბომბი, 83 რადიოსადგური, 239 ავტომანქანა საომარ მასალიანად და სურსათიანად, 3.217 ცხენი, 4.400 საზიდარი სამხედრო ტვირთიანად, 18 ორთქლმავალი, 400 ვაგონი, 37 სხვადასხვა საწყობი.

ტყვედ წამოყვანილია 6.500 ჯარისკაცი და ოფიცერი, ხოლო წინათ — 1942 წლის 19 ნოემბრიდან ტყვედ წამოყვანილებთან ერთად ჩვენმა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს მტრის სულ 144.150 ჯარისკაცი და ოფიცერი.

1943 წლის 1-დან 5 იანვრამდე მოსპობილია: 88 თვითმფრინავი, 118 ტანკი, 122 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 291 ნაღმსატყორცნი, 787 ტყვიამფრქვევი, 570 ავტომანქანა ჯარებიანად და სამხედრო ტვირთიანად, 340 მოტოციკლი, 432 ვაგონი, 20 სხვადასხვა საწყობი.

1943 წლის 1-დან 5 იანვრამდე მოწინააღმდეგემ 20.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მარტო მოკლულთა სახით.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

ახალი დარტყმები მტრის წინააღმდეგ

წუხელ საბჭოთა რადიომ აუწყა მსოფლიოს ჩვენი მამაცი წითელი არმიის ახალი დიდი წარმატების ამბავი. 4 იანვარს საბჭოთა ჯარებმა გადამწყვეტი იერიშის შემდეგ დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური ნალჩიკი. ყაბარდო-ბალკარეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი განთავისუფლებულია გერმანელი ოკუპანტებისაგან. 5 იანვარს ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი კვანძი პროლადნი, ქალაქი მაისკოე და რკინიგზის კვანძი კოტლიარევსკაია.

გუშინვე შეუპოვარი ბრძოლის შედეგად ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ფაშისტთა წინააღმდეგობის ერთ-ერთი ძირითადი კვანძი სტალინგრადის რაიონში—ქალაქი და რკინიგზის სადგური მოროზოვსკი და როსტოვის ოლქის დიდი რაიონული ცენტრი სტანიცა ციმლიანსკაია. დღეს ამ სასიხარულო ამბავს ყველა ერთმეორეს გადასცემს. მთელი საბჭოთა ხალხი თავის აღფრთოვანებულ ძმურ მილოცვას უძღვნის წითელ არმიას!

საბჭოთა ჯარების წარმატებები ჩრდილოეთ კავკასიაში ფრიად მნიშვნელოვანია. როგორც ვიცით, ზაფხულში სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით გერმანელთა შემოტევის დამხმარე მიზანი იყო კავკასიის ნავთის რაიონების დაპყრობა, ჩვენი მთავარი რეზერვების მიზიდვა სამხრეთისაკენ და მოსკოვის ფრონტის შესუსტება. გერმანიის გენერალური შტაბის გეგმით ფაშისტთა ჯარებს გასული წლის 25 სექტემბერს უნდა დაეპყროთ ბაქო.

ეს ქვიშაზე აგებული გეგმა სამარცხვინოდ ჩაიფუშა ისევე, როგორც სტალინგრადის დაპყრობის, აღმოსავლეთიდან მოსკოვის შემოვლისა და საბჭოთა დედაქალაქის დაკავების გეგმა. ჯერ იდევ ადრე შემოდგომაზე შეტევას გადმოსული გერმანელთა ჯარები შეჩერებულ იქნენ ნოვოროსიისკის რაიონში. ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით, ნალჩიკისა და მოზდოკის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

„მზე დაგვიბნელდეს, დღის სინათლე ვეღარ ვიხილოთ, შერცხვენილ ვიყოთ, თუ წყეული გერმანელი კავკასიაში შემოვუშვათ!“—ასე სწერდნენ ჩრდილოეთ კავკასიის მშრომელთა წარმომადგენლების ანტიფაშისტური მიტინგის მონაწილენი თავიანთ მიმართვაში ყველა მთიელი ხალხისადმი.

და მათ შეასრულეს თავიანთი სიტყვა! მაგრად ჩაუკეტეს რა მტერს გზა კავკასიისაკენ, საბჭოთა მეომრები აქტიური თავდაცვით ჰქანცავდნენ ჰიტლერელთა ძალებს, შემდეგ კი მთელი რიგი თანმიმდევრობითი დარტყმებით აიძულეს ოკუპანტები თვითონ გადასულიყვნენ თავდაცვაზე. მრისხანე გრგვინვად გაისმა კავკასიის ველებსა და ხეობებში დარტყმა, რომელიც ჩვენმა ჯარებმა აგემეს მოწინააღმდეგეს ქალაქ ორჯონიკიძის მისადგომებზე. შემდეგ წითელი არმიის შემტევ ნაწილთა მძიმე ურო თავს დაატყდა მოწინააღმდეგეს ძორიკაუში, ელხოტოვოში, ჩიკოლაში, ხაზნიდონში, ტოლძგუნში, მალგობეკში, მოზდოკში. ამჟამად, განაგრძობენ რა შეტევას, სძლევენ რა ფაშისტთა გააფთრებულ წინააღმდეგობას, ჩვენმა ჯარებმა გარეკეს ისინი ნალჩიკიდან და პროხლადნიდან, მაისკოედან და კოტლიარევსკაიადან.

სულ ახლახან—3 იანვარს ჰიტლერის მთავარმა ბანაკმა წამოიყეფა მორიგი სიცრუე, თითქოს გერმანელთა ნაწილებმა „ახალი წელი დაიწყეს დიდი იერიშებით თერგის რაიონში“. ჰიტლერელმა მესვეურებმა თვითონ გამოიყვანეს თავი ქვეყნიერების სასაცილოდ. ფაშისტმა არამზადებმა დიდი იერიშებით კი არა, არამედ უდიდესი დანაკარგით დაიწყეს ახალი წელი (და განაგრძობენ ძველს)! ბერლინელი მატყუარების სიცრუე ერთხელ კიდევ გამოაშკარავდა. ეს ცრუპენტელები იმასაც კი ვერ მიმხვდარან, რომ სიმართლე არ დამალება, რომ სიმართლე თავისას გაიტანს!

1942 წლის 24 დეკემბრიდან 1943 წლის 4 იანვრამდე გერმანელებმა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაში 11.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მარტო მოკლულთა სახით. ჩვენმა ჯარებმა ამ ბრძოლებში ხელთ იგდეს და მოსპეს ფაშისტთა 18 თვითმფრინავი, 320 ტანკი, 151 ქვემეხი, 490 ტყვიამფრქვევი, 15 საწყობი და მრავალი სხვა სამხედრო ქონება. გერმანელებს უდიდესი ზარალი მოუვიდათ ამ დღეებში სტალინგრადის რაიონშიც, ცენტრალურ ფრონტზე და საომარი მოქმედების ასპარეზის სხვა უბნებზეც.

საბჭოთა ხალხი ღრმა კმაყოფილებით შეხვდება ოგრეთვე ქალაქ და სადგურ მოროზოვსკსა და სტანიცა ციმლიანსკაიაში საბჭოთა დროშის აღმართვას. მტრის ამ დიდი დასაყრდენი პუნქტების აღება იმას მოწმობს, რომ წითელი არმიის ჯარები სძლევენ მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას, წარმატებით განაგრძობენ თავიანთ შეტევას ამ მიმართულებებითაც და ღირსეულად ასრულებენ წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს.

წითელი არმიის საბრძოლო წარმატებები წარმოშვა ჩვენი მეთაურებისა და მებრძოლების სიმძლავრის და სამხედრო უნარიანობის შემდგომმა განმტკიცებამ, აგრეთვე უფრო და უფრო მზარდმა დახმარებამ, რასაც ჩვენი საბჭოთა ზურგი ფრონტს უწევს. მთელი ჩვენი ქვეყანა ზედიზედ აგებს დარტყმებს მტერს. წითელი არმიის მიერ ფრონტზე მოპოვებული გამარჯვებები შრომის მეომრების საგმირო საქმეებსაც ემყარება.

ასობით და ათასობით თვითმფრინავებს, ათიათასობით ქვემეხებსა და ნაღმსატყორცნებს, მილიონობით ყუმბარებსა და ბომბებს მისცემენ ჩვენი ქარხნები წითელ არმიას. ფრონტის საბრძოლო ტექნიკა განუწყვეტლივ ივსება. ამიტომ გერმანელებთან ბრძოლის მოწონიავე ხაზზე ჩვენი ნაწილების წარმატებითს მოქმედებაში თითოეული პატიოსანი საბჭოთა მშრომელი თავის თავდადებულ ღონისძიებათა წილსაც ხედავს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია ჩვენმა მრეწველობამ გასული წლის მეორე ნახევარში, როცა დაიწყო საბჭოთა ინდუსტრიის საწარმოთა სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება. თვედათვე მრავლდებოდა შეჯიბრებაში ჩაბმულთა მიღწევები.

გუშინ მოლოტოვის სახელობის № 172 საარტილერიო ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა ამხანაგ სტალინისადმი მიმართულ თავიანთ წერილში წამოაყენეს წინადადება, რომ კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდეს სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება—წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად. ამ მოწოდებას უკვე გამოეხმაურა ჩვენი ქვეყნის მრავალი საწარმო და იგი, უეჭველია, შრომითი ენტუზიაზმის ახალ აზვირთებას გამოიწვევს ყველგან, სადაც კი საბჭოთა დროშა ფრიალებს.

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება მილიონობით ადამიანთა საქმედ გადაიქცა. იგი ქალაქისა და სოფლის მშრომელთა პატრიოტული აღფრთოვანების გამოხატულებას წარმოადგენს. საბჭოთა პატრიოტიზმი თავს იჩენს ჩვენი ადამიანების შრომითს მამაცობაში, იმ საყოველთაო-სახალხო მოძრაობაში, რომელიც ამ უკანასკნელ კვირეებში გაჩაღდა ახალი სატანკო კოლონებისა და საავიაციო ესკადრილიების მშენებლობისათვის. უხვად და მსხვერპლის გაღებით ეხმარება საბჭოთა ხალხი თავის წითელ არმიას. ამხანაგ სტალინისადმი მიმართული მშრომელთა წერილები გამსჭვალულია უღრმესი ოპტიმიზმით, გამარჯვების ურყევი რწმენით, ფაშისტებისადმი ჩაუქრობელი სიძულვილით. „მე მსურს სიცოცხლე, მაგრამ ფაშისტებთან ვერ ვიცხოვრებ, მათი ამ ქვეყნად არსებობა სულს მიხუთავს. ადამიანს არ შეუძლია იცხოვროს ერთ ოთახში მხეცთან—ფაშისტთან. ამიტომ 102.300 მანეთი შემაქვს სატანკო კოლონის ასაგებად“,—სწერს ყაზახი კოლმეურნე ისკაკ შაკულოვი. ამ მოკლე და გულისწყრომით აღსავსე განცხადებაში გამოთქმულია მთელი საბჭოთა ხალხის ფიქრები და ნებისყოფა.

სამშობლო წითელ არმიას აძლევს ყველაფერს, რაც კი საჭიროა გამარჯვებისათვის. წითელი არმია ახალ-ახალი საბრძოლო წარმატებებით. მტრის წინააღმდეგ ახალ-ახალი დარტყმებით უპასუხებს სამშობლოს.

„პრავდის“ მოწინავე, 6/I.

მოსკოვი. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ სტალინს

მხურვალედ უჭერენ რა მხარს გვარდიელების — სტალინგრადთან ისტორიული ბრძოლის მონაწილეთა თაოსნობას, მე-7 არმიის მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა თავიანთი დანაზოგი 10.725.000 მანეთი შეიტანეს სატანკო კოლონა „ჩვენი გამარჯვებისათვის“ ასაგებად. სახსრების შეგროვება გრძელდება.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ჩვენ დარწმუნებული ვართ მტერზე მალე გამარჯვებაში და ვიცით, რომ ჩვენი ხალხის დანაზოგით აგებული ტანკები მოაახლოვებენ ამ გამარჯვების ჟამს. ჩვენ — წითელი არმიის მეომრები მზად ვართ შევასრულოთ ყოველი თქვენი ბრძანება გამხეცებული ფაშისტური ბანდების გასანადგურებლად.

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

ტროფიმენკო, ვასილიევი.

მე-7 არმია ამხანაგებს ტროფიმენკოს, ვასილიევს

გადაეცით ჩემი ხაბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა მე-7 არმიის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებმაც 10.725.000 მანეთი შეაგროვეს სატანკო კოლონა „ჩვენი გამარჯვებისათვის“ ასაგებად.

ი. სტალინი

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ჩვენ, გვარდიელებმა, სტალინგრადისათვის ისტორიული ბრძოლის მონაწილეებმა, გადავწყვიტეთ დავეხმაროთ სამშობლოს არა მარტო გერმანელ დამპყრობთა ულმობელი განადგურებით, არამედ ჩვენი დანაზოგითაც, და სატანკო კოლონა „გვარდიელის“ ასაგებად შევაგროვეთ ერთი მილიონი მანეთი. ფულადი სახსრების შეგროვება გრძელდება.

პირობას გაძლევთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ არ დავიშურებთ ჩვენს ძალას და თვით სიცოცხლესაც კი ხალხის ბედნიერებისათვის, ჰიტლერელი დამპყრობლებისაგან ჩვენი საყვარელი სამშობლოს გასანთავისუფლებლად.

ვასილენკო, ეგოროვი.

სტალინგრადის ფრონტი.

სტალინგრადის ფრონტი გვარდიელებს ვასილენკოს, ეგოროვს

გადაეცით ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა თქვენი ნაწილის გვარდიელებს, რომლებმაც ერთი მილიონი მანეთი შეაგროვეს სატანკო კოლონა „გვარდიელის“ ასაგებად.

ი. სტალინი

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ჩემდამი რწმუნებული ნაწილის პირად შემადგენლობას, რომელიც აღფრთოვანებულია 1942 წლის 6 და 7 ნოემბრის თქვენი ისტორიული მოხსენებითა და ბრძანებით, აღგზნებულია ფაშისტური [illegible] ნიადაგზე შეურიგებელი სიძულვილით, გამსჭვალულია სურვილით მალ[illegible] ადგეროს მისი მძარცველური არმია, თავისი ფულადი ხელფასისა და დანაზოგის ხარჯზე შეაქვს 100.000 მანეთი საბრძოლო თვითმფრინავ „ავტოდორონეჟ რკკა“-ს ასაგებად და ითხოვს ჩააბაროთ იგი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის საუკეთესო მფრინავს.

246-ე ნაწილის მეთაური, მე-3 რანგის სამხედრო ინჟინერი ვოროგბიოვი.

№ 246 ნაწილის მეთაურს მე-3 რანგის სამხედრო ინჟინერ ვოროგბიოვს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და მადლობა № 246 სამხედრო ნაწილის პირად შემადგენლობას წითელი არმიის საჰაერო ძალებზე ზრუნვისათვის.

ი. სტალინი

კრემლი

თავდაცვის სახალხო კომისარს ამხანაგ სტალინს

სტალინგრადის მეომრებმა, რომლებმაც სასტიკ ბრძოლებში დაიცვეს ვოლგის სიმაგრე, გადასწყვიტეს 1943 წლის საჩუქრად გაიღონ თავიანთი დანაზოგი 62-ე არმიის სახელობის მძლავრი სატანკო კოლონის შესაქმნელად. ორი დღის განმავლობაში არმიის პირადმა შემადგენლობამ სამი მილიონი მანეთი შეიტანა. სახსრების შეგროვება გრძელდება.

ჩუიკოვი, გუროვი.

მოსკოვი, კრემლი

თავდაცვის სახალხო კომისარს ამხანაგ სტალინს

122-ე სამხედრო ნაწილის მებრძოლებმა და მეთაურებმა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან თქვენი მოხსენებითა და ბრძანებით, აღგზნებული არიან სურვილით მოაახლოონ საძულველი გერმანელი დამპყრობლების საბოლოო განადგურების ჟამი, შეაგროვეს და სახელმწიფო ბანკში შეიტანეს 1.165.000 მანეთი სატანკო კოლონის ასაგებად. სახსრების შეგროვება გრძელდება.

122-ე ნაწილის მეთაური პოლკოვნიკი ლაპშევი.
მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში პოლკოვნიკი ბოგოროდინი.

პიონერებსა და მოსწავლეებს

საქართველოს სს რესპუბლიკა, გორი, მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლე ლეონილა კიკნაძეს

მოსკოვი, ძერჟინსკის რაიონის 257-ე სკოლის მოსწავლე ლენია მარკოზის-ძე ზენჩენკოს

უდმურტეთის ასს რესპუბლიკა, სოფ. ზავიალოვო, მოსწავლე ბოგრისოვას

ვორონეჟის ოლქი, ბორისოგლებსკი, დროვიანაია 39—მოსწავლე მილერს

გმადლობთ, ნორჩო ამხანაგებო, წითელ არმიაზე თქვენი ზრუნვისათვის. გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებას სწავლასა და საზოგადოებრივ მუშაობაში.

ი. სტალინი

ბრძანებულება

სსრკ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის სამხედრო საჰაერო ძალთა სარდლისათვის, საჰაერო არმიების, შორი მოქმედების ავიაციის, ჩვენი ქვეყნის საჰაერო არმიების, ტერიტორიის საჰაერო თავდაცვის გამანადგურებელი ავიაციის სარდლებისათვის, ავიაკორპუსების, ავიადივიზიების, ავიაპოლკების მეთაურებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების უფლების მინიჭების შესახებ

1. მიენიჭოთ უფლება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოონ სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით მებრძოლები და მეთაურები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე, დაჯილდოების შემდგომი დამტკიცებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ:

ა) წითელი არმიის სამხედრო საჰაერო ძალთა სარდალს — რიგითი და უფროსთა შემადგენლობა პოლკის მეთაურამდე და მისი თანაბარი თანამდებობის პირებამდე ჩათვლით — წითელი დროშის, სუვოროვის III ხარისხის, ალექსანდრე ნეველის, სამამული ომის I და II ხარისხის, წითელი ვარსკვლავის ორდენებით, მედლებით — „მამაცობისათვის“ და „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

ბ) საჰაერო არმიების სარდლებს, შორი მოქმედების ავიაციის სარდალს, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის საჰაერო თავდაცვის გამანადგურებელი ავიაციის სარდალს — რიგითი და უფროსთა შემადგენლობა ესკადრილიის მეთაურამდე და მისი თანამდებობის თანაბარ პირებამდე ჩათვლით — ალექსანდრე ნეველის, სამამული ომის I და II ხარისხის, წითელი ვარსკვლავის ორდენებით, მედლებით— „მამაცობისათვის“ და „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

გ) ავიაკორპუსების მეთაურებს — რიგითი და უფროსთა შემადგენლობა რგოლის მეთაურამდე და მისი თანაბარი თანამდებობის პირებამდე ჩათვლით — სამამული ომის I და II ხარისხის, წითელი ვარსკვლავის ორდენებით, მედლებით — „მამაცობისათვის“ და „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

დ) ავიადივიზიების მეთაურებს — რიგითი და უფროსთა შემადგენლობა რგოლის მეთაურამდე და მისი თანაბარი თანამდებობის პირებამდე ჩათვლით — წითელი ვარსკვლავის ორდენით — „მამაცობისათვის“ და „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

ე) ავიაპოლკების მეთაურებს — რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობა უფროს მეფრინავამდე და პილოტამდე ჩათვლით — მედლებით — „მამაცობისათვის“ და „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

2. წითელი არმიის სამხედრო საჰაერო ძალების შორი მოქმედების ავიაციის და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის საჰაერო თავდაცვის იმ უფროსთა და რიგითს შემადგენლობას, რომელიც დაჯილდოებულია საბრძოლო წარჩინებისათვის, ორდენები და მედლები გადაეცეთ უშუალოდ ნაწილებში, სადაც მსახურობენ დაჯილდოებულნი.

დაწესდეს, რომ ორდენებისა და მედლების გადაცემა მოქმედ არმიაში შეუძლიათ საჰაერო არმიების სარდლებს, მათს მოადგილეებს, პოლიტნაწილში, ავიაკორპუსების, ავიადივიზიებისა და ავიაპოლკების მეთაურებს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოლიკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1942 წლის 26 დეკემბერი.

კომკავშირელ ოხულკოვის გმირობა

დონის ფრონტი, 5 იანვარი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით წარმოებულ ბრძოლაში სასიკვდილოთ დაიჭრა კომკავშირელი ოხულკოვი, მაგრამ სიცოცხლის უკანასკნელ წუთსაც კი მასში არ ჩამქრალა სასტიკი სიძულვილი მტრისადმი.

გერმანელებმა ჩვენი შემტევი ნაწილების წინააღმდეგ კონტრიერიშზე ტანკების დიდი ჯგუფი გამოიყვანეს. ერთი მათგანი დაჭრილ ოხულკოვის ახლო მიდიოდა. მომაკვდავი მებრძოლი იმდენად სუსტი იყო, რომ უკვე აღარ შეეძლო ტანკსაწინააღმდეგო გრანატი ეტყორცნა, მაშინ იგი ამ გრანატით მტრის მანქანის ბუხლუხებ ქვეშ დაწვა. გაისმა აფეთქება, და დამსხვრეული ტანკი გაჩერდა.

კომკავშირელ ოხულკოვის უკვდავმა გმირობამ აღაფრთოვანა ყველა მებრძოლი, მათ კიდევ უფრო გააფთრებით იწყეს ბრძოლა. გერმანელთა სატანკო კონტრიერიში მოგერიებულ იქნა.

ი. ბასი

ბრძანებულება

სსრკ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

წითელი არმიის პირადი შემადგენლობისათვის ახალი განსასხვავებელი ნიშნების შემოღების შესახებ

1. დაკმაყოფილდეს თავდაცვის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა და წითელი არმიის პირადი შემადგენლობისათვის შემოღებულ იქნას, არსებულის ნაცვლად, ახალი განსასხვავებელი ნიშნები—სამხრეები.

2. დამტკიცდეს წითელი არმიის პირადი შემადგენლობის ახალი განსასხვავებელი ნიშნების ნიმუშები და აღწერილობა.

3. სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარმა დაადგინოს ახალი განსასხვავებელი ნიშნების შემოღების ვადები და შეიტანოს საჭირო ცვლილებანი წითელი არმიის პირადი შემადგენლობის ტანსაცმლის ფორმაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოლიკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 6 იანვარი.

წითელი არმიის სამხედრო მოსამსახურეთა ახალი განსასხვავებელი ნიშნების მოკლე აღწერილობა

I. ზოგადი ცნებები

განსასხვავებელი ნიშნების — სამხრეების დანიშნულებაა იმის გარკვევა, თუ რა სამხედრო წოდებას და ჯარის რა გვარეობას (სამსახურს) ეკუთვნის სამხედრო მოსამსახურე.

სამხრეები დაწესებულია საველე და საყოველდღეო. საველე სამხრეების ძირითადი განსხვავება ის არის, რომ მათი არე ხაკისფერია, მიუხედავად ჯარის გვარეობისა (სამსახურისა).

სამხრეებს—საველისა და საყოველდღეოს — შემოვლებული აქვს ფერადი მაუდის ქობა ნაპირებზე, გარდა ქვედა ნაპირისა.

იმის მიხედვით, თუ რა სამხედრო წოდება აქვს მინიჭებული და ჯარის რა გვარეობას (სამსახურს) ეკუთვნის სამხედრო მოსამსახურე, სამხრეების არეზე კეთდება განსასხვავებელი ნიშნები (ვარსკვლავები, ზოლები, დანაკერები) და ემბლემები, ხოლო უმცროს მეთაურთა, რიგითი შემადგენლობისა და სამხედრო სასწავლებლების კურსანტთა საყოველდღეო სამხრეებზე აგრეთვე ტრაფარეტები, რომლებიც აღნიშნავენ ჯარის ნაწილს (შენაერთს) სახელწოდებას.

ქვეითი ჯარის გენერლებისა და მთელი პირადი შემადგენლობის საველე და საყოველდღეო სამხრეებს ემბლემები არა აქვს. სამედიცინო და სავეტერინარო სამსახურის გენერლებისა და სამხედრო-იურიდიული სამსახურის უმაღლესი უფროსთა შემადგენლობის საველე და საყოველდღეო სამხრეებს ემბლემები აქვთ.

II. საბჭოთა კავშირის მარშლისა და გენერლების სამხრეები და განსასხვავებელი ნიშნები

სამხრის არე განსაკუთრებული გადაწყვეტილების სირმისაა; საველე სამხრეებისათვის—ხაკისფერი აბრეშუმისა; საყოველდღეო სამხრეებისათვის—ოქროს ფურჩალისა, ხოლო სამედიცინო და სავეტერინარო სამსახურის გენერლებისათვის—ვერცხლის ფურჩალისა.

სამხრეების ქობის ფერი: საბჭოთა კავშირის მარშლისა, საერთო-საჯარისო გენერლისა, არტილერიის, სატანკო ჯარების, სამედიცინო და სავეტერინარო სამსახურის გენერლისა — წითელი; ავიაციის გენერლისა — ცისფერი; ტექნიკური ჯარებისა და საინტენდანტო სამსახურის გენერლებისა—შინდისფერი.

გენერლების სამხრეებზე ვარსკვლავები ამოკერილია ოქროს არეზე ვერცხლით, ვერცხლის არეზე—ოქროთი. ვარსკვლავების რაოდენობა სამხედრო წოდების შესაბამისია.

სამხრეებზე ღილები ღერბიანია, მოოქრული.

სამედიცინო სამსახურის გენერლების სამხრეებზე—ლითონის მოოქრული ემბლემებია; სავეტერინარო სამსახურის გენერლების სამხრეებზე ასეთივე ემბლემებია, მხოლოდ მოვერცხლილი.

სამხრის ზომა: სიგრძე—14-16 სმ; სიგანე—6,5 სმ., სამედიცინო და სავეტერინარო სამსახურის გენერლების სამხრეების სიგანე 4,5 სმ.

III. უფროსი და საშუალო მეთაურთა შემადგენლობის სამხრეები და განსასხვავებელი ნიშნები

სამხრის არე: საველისა—ხაკისფერი მაუდისა, საყოველდღეოისა—ოქროსფერი აბრეშუმისა ან ოქროს სირმისა. საინჟინრო მეთაურთა შემადგენლობის, საინტენდანტო, სამედიცინო და სავეტერინარო სამსახურის საყოველდღეო სამხრის არე—ვერცხლისფერი აბრეშუმისა ან ვერცხლის სირმისა.

საშუალო მეთაურთა შემადგენლობის სამხრეებზე ერთი ზოლი და ლითონის მოვერცხლილი ვარსკვლავებია; უფროს მეთაურთა შემადგენლობის სამხრეებზე ორი ზოლი და ასეთივე ვარსკვლავებია. მაგრამ უფრო მეტი ზომისა. სამხრეზე ვარსკვლავების რიცხვი სამხედრო წოდების შესაბამისია. მეთაურთა შემადგენლობის სამხრეებისათვის, გარდა ქვეითი ჯარის მეთაურთა შემადგენლობისა, დაწესებულია მოვერცხლილი ემბლემები ჯარის გვარეობის. სამსახურის მიხედვით.

საინჟინრო მეთაურთა შემადგენლობის, საინტენდანტო და სამედიცინო სამსახურის სამხრეებზე ემბლემები და ვარსკვლავები მოოქრულია. სამხედრო-სავეტერინარო შემადგენლობის სამხრეებზე ვარსკვლავები მოოქრულია, ემბლემები—მოვერცხლილია.

სამხრეებზე არის ფორმის მოოქრული ვარსკვლავიანი ღილები, ვარსკვლავის შუაგულშია ნამგალი და ურო.

ქობისა და ზოლის ფერი ჯარების გვარეობის (სამსახურის) მიხედვით:

ჯარის გვარეობა	საველე სამხრეები		საყოველდღეო სამხრეები	
	ქობის ფერი		ზოლების ფერი	ქობის ფერი	ზოლების ფერი
ქვეითი ჯარი	შინდისფერი	მუქი წითელი	შინდისფერი	შავი	ოქროსფერი
არტილერია	წითელი	მუქი წითელი	შავი	წითელი	ოქროსფერი
ავტო-ჯავშანსატანკო ჯარები	წითელი	მუქი წითელი	შავი	წითელი	ოქროსფერი
ავიაცია	ცისფერი	მუქი წითელი	ცისფერი	შავი	ოქროსფერი
კავალერია	ღია ლურჯი	მუქი წითელი	ღია ლურჯი	შავი	ოქროსფერი
ტექნიკური ჯარები	შავი	მუქი წითელი	შავი	შავი	ოქროსფერი
სამედიცინო და სავეტერინარო სამსახური	მუქი მწვანე	მიხაკისფერი	მუქი მწვანე	წითელი	ვერცხლისფერი
უმწყობრო უმცროსი მეუფროსეთა შემადგენლობა	ჯარის გვარეობის მიხედვით	მიხაკისფერი	ჯარის გვარეობის მიხედვით	ჯარის გვარეობის მიხედვით	ვერცხლისფერი

სამხრის ზომა: სიგრძე—14-16 სმ., სიგანე — 6 სმ.

სამხედრო სასწავლებელთა კურსანტების სამხრეები მხოლოდ საყოველდღეოა. სამხრის არეს ქობაშემოვლებულ ნაპირზე შემოკერილია ოქროს სირმა სირმა ყველა სამწყობრო-სამეთაურო სასწავლებლებისათვის ოქროს ფერია, სამეთაურო-ტექნიკური, საინტენდანტო, სამედიცინო და სამხედრო-სავეტერინარო სასწავლებლთათვის — ვერცხლისფერი. კურსანტებისა სამხრეებზე ყვითელი ტრაფარეტი აღნიშნულია სამხედრო სასწავლებლის სახელწოდება.

სამხრეებზე არის ფორმის თითბრის ვარსკვლავიანი ღილები, ვარსკვლავის შუაგულშია ნამგალი და ურო.

V. სამხედრო-იურიდიული სამსახურის უმაღლესი უფროსთა შემადგენლობის სამხრეები და განსასხვავებელი ნიშნები

სამხრეების არე განსაკუთრებული გადაწყვეტილების სირმისაა, რომელიც გენერლის სამხრის სირმის გადაწყვეტილების მსგავსია. საველე სამხრეებზე სირმა ხაკისფერი აბრეშუმისაა, საყოველდღეოზე—ვერცხლის ფურჩალისა.

სამხრეების ქობა წითელია.

სამხრეებზე ვარსკვლავები და ემბლემები მოოქრული ლითონისაა.

ვარსკვლავების რაოდენობა და განლაგება სამხედრო წოდების შესაბამისია.

ღილები ღერბიანია, მოოქრული.

სამხრის ზომა: სიგრძე—14-16 სმ., სიგანე 4,5 სმ.

VI. სამხედრო-იურიდიული სამსახურის საშუალო და უფროს მეუფროსეთა შემადგენლობის სამხრეები და განსასხვავებელი ნიშნები

სამხრის არე: საველისა—ხაკისფერი მაუდისა, საყოველდღეოისა—ვერცხლის სირმის ან ვერცხლისფერი აბრეშუმისა.

საშუალო უფროსთა შემადგენლობის სამხრეებზე ერთი ზოლი და ლითონის მოოქრული ვარსკვლავებია; უფროს მეუფროსეთა შემადგენლობის სამხრეებზე—ორი ზოლი და ასეთივე ვარსკვლავები, მაგრამ უფრო მეტი ზომისა. ვარსკვლავების რიცხვი სამხედრო წოდების შესაბამისია.

სამხრეებზე ქობა ყვითელია. ზოლები—მიხაკისფერი. საყოველდღეო სამხრეების ქობა და ზოლები წითელია, ემბლემები — მოოქრულია.

სამხრეების ღილები ფორმისაა, მოოქრული, ვარსკვლავიანი; ვარსკვლავის შუაგულშია ჩაქუჩი და ურო.

სამხრის ზომა: სიგრძე 14-16 სმ., სიგანე—4 სმ.

საკ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის პლენუმი

შესდგა საკ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის XVIII პლენუმი. პლენუმმა მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. ა. ხუჯაძის საანგარიშო მოხსენება ჩატარებულ მუშაობაზე. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო შვიდმა ამხანაგმა.

პლენუმმა რაიკომის პოლიტიკური ხაზი ჩასთვალა სწორად და მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

**სხვა რაიონში სამუშაოდ გადასვლასთან დაკავშირებით პლენუმმა რაიკომის მდივნის მოვალეობისაგან გაათავ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

6 იანვრის დილის ცნობა

5 იანვრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები **დონის** შუაწელის რაიონში, **სტალინგრადის** სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით, **ცენტრალურ** ფრონტზე და **ჩრდილოეთ კავკასიაში** განაგრძობდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

სტალინგრადის რაიონში ჩვენი ჯარები საარტილერიო სროლას ეწეოდნენ მტრის პოზიციების წინააღმდეგ. საქარხნო რაიონში დანგრეულია მოწინააღმდეგის 12 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი. სტალინგრადის დასავლეთით ორი მაღლობისათვის წარმოებულ ბრძოლაში ჩვენმა მებრძოლებმა მტრის კიდევ რამდენიმე ათეული სანგარი დაიკავეს. ბრძოლის ველზე დარჩა 200-ზე მეტი მოკლული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოყვანილია ტყვეები და წამოღებულია დაჯილ.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ - დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს განაგრძობდნენ. მოწინააღმდეგემ მთელ რიგ უბნებზე ახალი ნაწილები გამოიყვანა. ჰიტლერელები ცდილობენ კონტრიერიშებით შეიარონ საბჭოთა ჯარების შეტევა, მაგრამ ყველა ეს ცდა მარცხით თავდება. გვარდიის ქვეითი ჯარის ქვედანაყოფზე, რომლის მეთაურიც არის უმცროსი ლეიტენანტი ვასილენკო, კონტრიერიშში მოიტანა მტრის 14 ტანკმა. მებრძოლები და მეთაურები ტანსაწინააღმდეგო თოფის ცეცხლით შეხვდნენ მოწინააღმდეგის ტანკებს. მალე გერმანელთა 5 ტანკს ცეცხლი მოეკიდა, ხოლო დანარჩენები უკან გაბრუნდნენ. იერიში მოგერიებულ იქნა. სხვა უბანზე 6 ნაწილმა ერთი დასახლებული პუნქტისათვის წარმოებულ ბრძოლებში 400-ზე მეტი ჰიტლერელი მოსპო. ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს 9 ქვემეხი, 300 შაშხანა, საწყობი საომარ მასალიანად, 3.000 ცენტნერი ხორბლეული და დიდძალი რქიანი საქონელი, რომელიც გერმანელებს მშვიდობიან საბჭოთა მეცხოვრებლებისათვის წაერთმიათ.

* * *

დონის შუაწელის რაიონში ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. 6 შენაერთმა მოწინააღმდეგესთან ბრძოლებში მოსპო გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი და მოსპო 3 ტანკი, 2 ჯავშნიანი მანქანა, 11 ქვემეხი, მათ შორის 5 საზენიტო. წამოყვანილია 100-ზე მეტი ტყვე. სხვა უბანზე მოგერიებულ იქნა იერიში მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარისა, რომლებიც ცდილობდნენ გამოჭრილიყვნენ საბჭოთა ჯარების მიერ გარშემორტყმულ გერმანელთა ერთი

6 იანვრის განმავლობაში ჩვენი ჯარები **დონის** შუაწელის რაიონში შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს დასახლებული პუნქტები: **კარგალსკო-ბელიანსკი, ვერბოვსკი, მარიინსკაია, ხოლოდნი, კამიშევსკაია, იასირევი, ბოლშაია ორლოვკა და ჩერტკოვსკაია.**

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტები: **ნოვოოსტინოვსკაია, კრასნოგრადსკაია, უროუაინოე, მატვეევსკი, კიზბურუნი 1-ლი, კიზბურუნი მე-2, კიზბურუნი მე-3, ბაქსანი, სტარაია კრეპოსტი, კარაგაჩი, კრემი, კონსტანტინოვსკაია, კურსკაია, კანოვო** და რკინიგზის სადგურები **აპოლონსკაია** და **სოლდატსკაია.**

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

5 იანვარს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა 10 ტანკი და 70-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩააჩუმეს 10 საარტილერიო ბატარია, აეფეთქეს საომარი მასალების 2 საწყობი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ გაელეტეს მოწინააღმდეგის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის საქარხნო რაიონში ჩვენმა ნაწილებმა, რომლებიც მოიერიშეთა პატარ-პატარა ჯგუფებად მოქმედებდნენ, 23 ბლინდაჟი დაანგრიეს და შიგ მყოფი ჰიტლერელები გაელიტეს. სტალინგრადის დასავლეთით გრძელდება ბრძოლები მაღლობისათვის. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწევა, მაგრამ ჩვენმა ქვეგანაყოფებმა წინ წაიწიეს და 70 სანგარი დაიკავეს. გაელეტილია 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 10 დაზგისა და 18 ხელის ტყვიამფრქვევი, 11 ავტომატი, 285 შაშხანა, 2 ტანსაწინააღმდეგო თოფი, რადიოსადგური და სხვა დაჯილ.

ჩვენმა მფრინავებმა აეროდრომებზე **მოსპეს** გერმანელთა 3 სატრანსპორტო თვითმფრინავი. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 9 თვითმფრინავი.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები მტრის წინააღმდეგობას სძლევდნენ, შეტევას განაგრძობდნენ **და** რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ჰიტლერელები განდევნილი არიან ხელსაყრელი თავდაცვითი ზღუდიდან, ამასთან დიდი ზარალი ნახეს. 5 შენაერთის მებრძოლებმა უკანასკნელ ბრძოლებში ხელთ იგდეს გერმანელთა 6 ტანკი, 85 ავტომანქანა, 3 ტრაქტორი, 32 ტყვიამფრქვევი, 2.000 ავიაბომბი, 3.000 ყუმბარა, ბევრი ტანსაწინააღმდეგო თოფი, ავტომატები, შაშხანები და **სხვა** დაჯილ.

* * *

დონის **შუაწელის** რაიონში ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და ძალების ნაწილით ეწეოდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგის გარშემორტყმული გარნიზონების მოსასპობად. 5 ნაწილის ტანკისტები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და გერმანელები განდევნეს ძლიერ გამაგრებული დასახლებული პუნქტიდან. ამ ბრძოლებში გაელეტილია 300 გერმანელი

გარნიზონისაკენ. მოსპობილია 180 ჰიტლერელი და 6 ტანკი.

* * *

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას და ბევრი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. 5 შენაერთის მებრძოლებმა ორი დღის ბრძოლებში ხელთ იგდეს 3-მოტორიანი სატრანსპორტო თვითმფრინავი, 26 ტანკი, 29 ქვემეხი, 33 ნაღმსატყორცნი, ბევრი ავტომანქანა, ხელის იარაღი და სხვადასხვა სამხედრო ქონება. ტყვედ წამოყვანილია 300-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

უკრაინელ პარტიზანთა რაზმმა გაანადგურა ფაშისტთა სათემო სამმართველო და ამოსწყვიტა გერმანელთა გარნიზონი დასახლებულ პუნქტში. წამოღებულია 25 შაშხანა. პარტიზანებმა გერმანელებს წაართვეს რამდენიმე ათასი ფუთი მარცვლეული, რაც გერმანიაში გასაგზავნად იყო გამზადებული. საბჭოთა პატრიოტებმა მარცვლეული მოსახლეობას დაურიგეს.

* * *

რუმინეთის მთელ რიგ ქალაქებში ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციები გაიმართა. ქალაქ კრაიოვაში დემონსტრანტები მოითხოვდნენ ომის შეწყვეტას და ჰიტლერულ გერმანიასთან ურთიერთობის გაწყვეტას. ბუქარესტში სამხედრო სამინისტროს შენობასთან ყოველდღე თავს იყრიან ასობით ადამიანები, რომელნიც აქ იმისათვის მოდიან, რომ გაგონ რამე რუსეთში მყოფი თავიანთი მახლობლების ბედ-იღბალზე. რუმინეთის გაზეთები სამარისებურ სიჩუმეს იცავენ, მაგრამ დედაქალაქისა და სხვა ქალაქების მოსახლეობამ უკვე იცის, რომ რუმინეთის ჯარები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე დამარცხდნენ. სიგურანცამ დაჭეზანა საიდუმლო ცირკულარი, რომლითაც ქალაქ წინადადებას აძლევს ჟანდარმერიას ჩაახშოს „ყოველგვარი ლაპარაკი და დისკუსია ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ". ცირკულარში ნათქვამია: „ყველა, ვინც არსებულ ვითარებაში იმას ლაპარაკობს, რომ ჩვენ დავმარცხდით ფრონტზე, — სამხედრო ტრიბუნალის სამართალში უნდა მიეცეს. როგორც დამარცხების სასარგებლოდ განწყობილი, ვინაიდან ასეთი ადამიანები დაღუპვას გვიმზადებენ და სამარეს გვითხრიან". უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ბუქარესტში დაპატიმრებულია ასობით ქალი, რომელთაც ბრალად ედებათ, რომ დამარცხების სასარგებლოდ არიან განწყობილნი. დაპატიმრებულია აგრეთვე ბევრი მუშა და სტუდენტი იარაღის უკანონოდ შენახვისათვის.

6 იანვრის საღამოს ცნობა

6 იანვრის განმავლობაში ჩვენი ჯარები **დონის** შუაწელის რაიონში შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს დასახლებული პუნქტები: **კარგალსკო-ბელიანსკი, ვერბოვსკი, მარიინსკაია, ხოლოდნი, კამიშევსკაია, იასირევი, ბოლშაია ორლოვკა და ჩერტკოვსკაია.**

ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტები: **ნოვოოსტინოვსკაია, კრასნოგრადსკაია, უროუაინოე, მატვეევსკი, კიზბურუნი 1-ლი, კიზბურუნი მე-2, კიზბურუნი მე-3, ბაქსანი, სტარაია კრეპოსტი, კარაგაჩი, კრემი, კონსტანტინოვსკაია, კურსკაია, კანოვო** და რკინიგზის სადგურები **აპოლონსკაია** და **სოლდატსკაია.**

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

5 იანვარს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა 10 ტანკი და 70-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩააჩუმეს 10 საარტილერიო ბატარია, აეფეთქეს საომარი მასალების 2 საწყობი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ გაელეტეს მოწინააღმდეგის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის საქარხნო რაიონში ჩვენმა ნაწილებმა, რომლებიც მოიერიშეთა პატარ-პატარა ჯგუფებად მოქმედებდნენ, 23 ბლინდაჟი დაანგრიეს და შიგ მყოფი ჰიტლერელები გაელიტეს. სტალინგრადის დასავლეთით გრძელდება ბრძოლები მაღლობისათვის. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწევა, მაგრამ ჩვენმა ქვეგანაყოფებმა წინ წაიწიეს და 70 სანგარი დაიკავეს. გაელეტილია 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს 10 დაზგისა და 18 ხელის ტყვიამფრქვევი, 11 ავტომატი, 285 შაშხანა, 2 ტანსაწინააღმდეგო თოფი, რადიოსადგური და სხვა დაჯილ.

ჩვენმა მფრინავებმა აეროდრომებზე **მოსპეს** გერმანელთა 3 სატრანსპორტო თვითმფრინავი. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 9 თვითმფრინავი.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები მტრის წინააღმდეგობას სძლევდნენ, შეტევას განაგრძობდნენ **და** რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ჰიტლერელები განდევნილი არიან ხელსაყრელი თავდაცვითი ზღუდიდან, ამასთან დიდი ზარალი ნახეს. 5 შენაერთის მებრძოლებმა უკანასკნელ ბრძოლებში ხელთ იგდეს გერმანელთა 6 ტანკი, 85 ავტომანქანა, 3 ტრაქტორი, 32 ტყვიამფრქვევი, 2.000 ავიაბომბი, 3.000 ყუმბარა, ბევრი ტანსაწინააღმდეგო თოფი, ავტომატები, შაშხანები და **სხვა** დაჯილ.

* * *

დონის **შუაწელის** რაიონში ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და ძალების ნაწილით ეწეოდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგის გარშემორტყმული გარნიზონების მოსასპობად. 5 ნაწილის ტანკისტები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და გერმანელები განდევნეს ძლიერ გამაგრებული დასახლებული პუნქტიდან. ამ ბრძოლებში გაელეტილია 300 გერმანელი

ავაგოთ საჯანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნე"

წითელი არმიის დასახმარებლად, მტრის გასანადგურებლად

ჭიათურა (ტელეგრაფით). სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის" მშენებლობის ფონდში ჭიათურის რაიონის კოლმეურნეებმა 5 იანვრისათვის შეიტანეს 1.131.618 მანეთი.

ამავე რიცხვისათვის კოლმეურნეებმა თავიანთი გარდამეტიდან წითელი არმიისა და ქალაქის მშრომელთათვის გაიღეს 36.500 კილოგრამი სიმინდი, 480 კილოგრამი ხორცი, 33 ქათამი.

საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის მდივანი აბრამიშვილი

5.500 ფუთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები

მცხეთა („**კომუნისტის**" **კორ.**). ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის** მისალმებისა და მადლობის სპასუხოდ მცხეთის რაიონის კოლმეურნეები ენტუზიაზმით აგროვებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს წითელი არმიისა და ქალაქის მშრომელთათვის.

სოფელ ჩარდახის „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა შეაგროვეს 317 ფუთი მარცვლეული, აქედან ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. მ. მელაძემ პირადად შეიტანა 20 ფუთი, ხოლო კოლმეურნეებმა ალექსი და გიორგი ჩიღლოშვილებმა—15-15 ფუთი.

სოფ. ძალისის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა შეაგროვეს 510 ფუთი მარცვლეული. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. პ. ზაქაიძემ, რომელმაც სატანკო კოლონის ასაგებ ფონდში 3.500 მანეთი შეიტანა, წითელი არმიისა და თავდაცვის საწარმოთა მუშებისათვის ჩააბარა 60 ფუთი სიმინდი.

სოფ. ძეგვის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ამხ. ნ. ელუანაშვილი) წევრებმა შეაგროვეს 160 ფუთი მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

2 იანვრისათვის რაიონის კოლმეურნეებს თავიანთი გარდამეტიდან უკვე შეგროვებული ჰქონდათ 5.500 ფუთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, მათ შორის 4.137 ფუთი მარცვლეული, 774 ფუთი ბოსტნეული, 272 ფუთი კარტოფილი, 317 ფუთი ხორცი, ხილი და სხვა პროდუქტები.

პროდუქტების შეგროვება გრძელდება.

ა. ძირია

პიონერმა სურიე ხალვაშმა 10.000 მანეთი შეიტანა

ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პიონერი გოგონა მე-7 კლასის ფრიადოსანი მოსწავლე სურიე ხალვაში მხურვალედ გამოეხმაურა პიონერ თამარა ფროლოვას პატრიოტულ თაოსნობას და სატანკო კოლონა „ნორჩი პიონერის" მშენებლობის ფონდში 10.000 მანეთი შეიტანა, რაც მან არდადეგების დროს კოლმეურნეობაში მუშაობით გამოიმუშავა.

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად

წითელი არმიის 25 წლისთავის აღსანიშნავად

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის თბილისის მეხუთე სავაგონო დეპოს მუშაკთა კოლექტივმა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაწლის შედეგად 1942 წლის საწარმოო გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და ჯილდოდ მოიპოვა ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა.

გასულ წელს და განსაკუთრებით დეკემბერში საუკეთესოდ მუშაობდნენ დეპოს სტახანოველები: დურგალი პ. ტრუშინი, მექვაბე ნ. ბატიჩენკო, მღებავი ბრიგადირი გ. ფაშალიშვილი, რომლებმაც იანვრის პირველ დღეებში უფრო მეტად გაიჩაღეს მუშაობა და გეგმებს 350-500 პროცენტით ასრულებენ.

დეპოს კოლექტივმა წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად უფრო მეტად გაშალა სოციალისტური შეჯიბრება საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებაში, პირველობის მოპოვებისათვის.

პ. ბეჟღლიშვილი

ზრდიან შრომის ნაყოფიერებას

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სტახანოველები იანვარში ახალ საწარმოო მაჩვენებლებს იძლევიან. მოსამზადებელ საამქროში (უფროსი ი. დოლიძე) ყოველდღიურ ნორმებს ყველა მუშა ასრულებს. სტახანოველმა ე. ალექსანდროვამ დეკემბერთან შედარებით იანვრის პირველ დღეებში შრომის ნაყოფიერება 10 პროცენტით გაზარდა და გეგმებს 170-180 პროცენტით ასრულებს. მნიშვნელოვნად გაზარდეს შრომის ნაყოფიერება და მაღალ მაჩვენებლებს იძლევიან სტახანოველები ე. ლიხაჩევა, ფ. ფორროვა, ს. ახალკაცი, ს. ისაევა, ნ. ებრალიძე, ნ. ფარცხალაძე, ოსტატები ი. წოტაიშვილი, შ. ჯახიანი და სხვ.

ახალგაზრდა მუშა ვ. ლეუკავამ კვალიფიციური ოსტატებისაგან გამოცდილების გადმოღებით გეგმის 190-200 პროცენტით შესრულებას მიაღწია და ორასოვანთა რიგებში ჩადგა.

ფაბრიკის სტახანოველები ვალდებულებას იღებენ ახალი საწარმოო მაჩვენებლებით უპასუხონ მოლოტოვის სახელობის № 172 საარტილერიო ქარხნის კოლექტივის მოწოდებას.

რა ხდება გარშემორტყმული მტრის ბანაკში

(დონის ფრონტის ჩვენი კორესპონდენტებისაგან)

ჩვენი ჯარების წარმატებითმა შეტევამ დონის შუაწელის რაიონში და მძლავრმა კონტრდარტყმამ, რაც ვაგემეთ მტერს კოტელნიკოვოს რაიონში, კიდევ უფრო გააუარესეს მდგომარეობა მტრის დიდი ჯგუფებისა, რომელიც გარშემორტყმული ტანალინგრადთან. თუ რა ხდება გარშემორტყმული მტრის ბანაკში, ამაზე საკმაოდ ვრცლად ლაპარაკობენ ტყვედ წამოყვანილი მისი ჯარისკაცები და ოფიცრები.

194-ე საარტილერიო პოლკის ეფრეიტორი კალმანი ამბობს: „გარშემორტყმული ნაწილების მდგომარეობა მძიმეა. ჯარისკაცები შიმშილისაგან ფიზიკურად ძლიერ დასუსტდნენ. მათ ეძლევათ 100-150 გრამი პური და დღეღამის განმავლობაში ერთხელ — ცხენის ხორცს წყალ-წყალა წვენი. შტაბის ბატარიაში 7 ცხენი-ღა დარჩა, დანარჩენები შესაჭამეს". 44-ე ქვეითი დივიზიის 133-ე ქვეითი პოლკის ჯარისკაცმა რუდოლფ რიხტერმა აჩვენა: „ჩვენ ყოველდღე გვაძლევენ პატარა ნაჭერ პურსა და 200 გრამ ცხენის ხორცს. უკვე შეეჩვიეთ ჩვენი კავალერია. 100 ცხენიდან პოლკში 12 დარჩა".

დამახასიათებელია ტყვე ჯარისკაც ედმუნდ ვატორროსკის ჩვენება: „ჩვენ, მესანგრეთა ბატალიონის პირველი ასეულის 12 ჯარისკაცმა, ცხენი დავიჭირეთ და დავკალით. როცა დაინახეს, რომ ჩვენ ცხენის ხორცი გვქონდა, ჩვენი ასეულის ჯარისკაცთა კიდევ ერთი ჯგუფი შემოგვიერთდა. ეს ცხენი ჩვენ ექვს დღეს გვეყო, რის შემდეგ კვლავ საშიმშილო ულუფაზე ვისხედით... 17 დეკემბრის მეზენიტეთა დივიზიონში სამი შემთხვევა იყო, როცა ჯარისკაცები შიმშილისაგან ეცემოდნენ და კვდებოდნენ. ეს ვიაგეს ჩვენი ასეულის ჯარისკაცებმა ფიშერმა და შმელდერმა, რომლებიც პატრულობდნენ ამ დღეს".

სულ უფრო და უფრო ხშირად ნახავთ შემდეგ სცენებს. ჩვენს პოზიციებსა და მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა კიდეს შორის მოკლული ცხენი გდია. მასთან ნელა მიხოხავს ჯარისკაცი, რომელსაც ხელში დანა უჭირავს. ის ვაჭიშისათვის, საჭმელს ეძებს და ტყვიას პოულობს. მაგრამ აი უკვე მას ხოხვით მოპყვება მეორე, მესამე.

სულ უფრო და უფრო ხშირად იჩენს თავს მეტად ცუდი ჩაცმულობა. ჯარისკაცები ზამთრის ტანისამოსით ძალიან ცუდად არიან უზრუნველყოფილნი. მაგალითად, გერმანელთა 113-ე დივიზიის თითო ათეულზე გაცემული იყო სულ ორ-ორი საზამთრო ფარაჯა და ორ-ორი წყვილი... ჩალის ჩექმა. ჩვენ ხელთ გვიჭარდებიან დამზრალი ტყვეები. ისინი ოუწყებენ, რომ საველე ჰოსპიტლები არა თუ დამზრალებს, არამედ დაჭრილებსაც ველარ იტევენ. გაბზარდა შემთხვევები, როცა დაჭრილებს, რომლებსაც მოძრაობა შეუძლიათ, მწყობრში აბრუნებენ. „არსად გვაქვს ადგილი, რომ დაგაწვინოთო", — ეუბნებიან მათ.

76-ე ქვეითი დივიზიის ეფრეიტორი კარლ მაიერი ამბობს: „ჩვენს ასეულში 35 კაცი იყო, მათგან — 12 დამზრალი. უმრავლესობას პირველი და მეორე ხარისხის დაზრობა აქვს. ისინი ყველანი, აგრეთვე ორი დაჭრილი ჯარისკაცი, რომლებსაც პირადად ვიცნობ, სანგრებსა და ტრანშეებს აფარებენ თავს".

გერმანელთა სარდლობა ცდილობდა დაეშალა ჯარისკაცებისათვის ის ფაქტი, რომ ისინი გარემოცვაში მოხვდნენ. თავდაპირველად ეს ყველა ოფიცერმაც კი არ იცოდა. მაგრამ მდგომარეობა მალე აშკარა გახდა. გერმანელ ჯარისკაცთა სულიერი განწყობილება მკვეთრად გაუარესდა.

ამავე დროს, გერმანელთა სარდლობა ყოველგვარი ხმებისა და დაპირებათა ნაცად მეთოდს მიმართავს. გერმანელ ჯარისკაცს უყვარს ილუზიები, და ამით სარგებლობენ ოფიცრები. „გენერალი ფონ მანშტეინი დიდი ძალებით დგას კალინინთან" „დიდი სატანკო ძალები გვიახლოვდებიან კოტელნიკოვოდან",— —გადასცემენ ისინი ჯარისკაცებს. მეორე დღეს ამ დაპირებებს სხვა დაპირებანი სცვლიან. ასეთ დაპირებებს ყალბი დოკუმენტებით ადასტურებენ. დახვრეტის მუქარა და ფუჭი ილუზიები — აი რა გზით აკავებს გერმანელთა სარდლობა პოზიციებზე თავის გარშემორტყმულ ჯარებს.

ამავე დროს მტრის დაჯგუფების მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. იგი მცირე ზარალს როდი განიცდის ჩვენი ჯარების აქტიური მოქმედების შედეგად. ყველა ტყვე აცხადებს, რომ გერმანელთა გარშემორტყმულ დივიზიებს ბრძოლებში უდიდესი ზარალი მოსდით. მაგალითად, 76-ე ქვეითი დივიზიის ნაწილებმა მარტო სამი დღის საბრძოლო მოქმედების განმავლობაში პირადი შემადგენლობის 40-50 პროცენტი დაჰკარგეს. გერმანელთა სარდლობა იძულებული იყო ჩაება ბრძოლაში სამეურნეო ქვეგანაყოფთა ჯარისკაცები. თუ რა დიდია გერმანელთა ზარალი, ამაზე წარმოდგენას იძლევა შემდეგი მაგალითი: 276-ე ქვეითი პოლკის მე-9 ასეულში ბრძოლების დაწყებისას 230 კაცი იყო, ახლა მასში მხოლოდ 17 კაცი დარჩა; ოფიცერებიც გაუქმებულია.

უდიდესი ზარალის გამო გერმანელთა რამდენიმე ნაწილი და დივიზია დაშალეს. ასე, მაგალითად, დაშლილია ერთი ქვეითი დივიზია. მისი ქვეითების უბადრუკი ნაშთები 376-ე და 44-ე დივიზიებს მიუმატეს. დაშლილი დივიზიის შტაბი გენერალ ფონ გაბლენცის მეთაურობით გარშემორტყმიდან გაფრინდა. ამასთან გენერალმა მოახერხა თავის დაძვრენა, მაგრამ მისი 23 ოფიცერი სტალინგრადთან დაიღუპა. მათი თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა ტყვეთით და დაიმსხვრა.

არ შეიძლება ითქვას, რომ გერმანელ ოფიცრებს, რომლებიც მუქარითა და დაპირებებით აჩერებენ თავიანთ ჯარისკაცებს, თვითონ არ ესმოდეთ თავიანთი უიმედო მდგომარეობა. შინ გასაგზავნ მათს წერილებში სულ უფრო და უფრო ხშირად ვხვდებით ანდერძს. „ყოველგვარი მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად, — სწერს ლეიტენანტი ბრაიტშედელი, — მსურს დღეს გამოვეთქვა ჩემი უკანასკნელი ნება-სურვილი".

ამ ანდერძს, ისე როგორც მის მსგავს ბევრ სხვა ანდერძს, ვერავინ ვერ წაიკითხავს გერმანიაში. ჩვენი სნაიპერის ტყვიამ სიცოცხლე შეუწყვიტა ლეიტენანტს. სუსხიან დეკემბერში დამთავრდა ბრაიტშედელისა და მისი ქვეგანაყოფის საომარი ლაშქრობა.

სტალინგრადთან გარშემორტყმული გერმანელები განაგრძობენ წინააღმდეგობის გაწევას. 22 დივიზია პატარა სივრცეზე იცავს თავს. მათ ჯერ კიდევ გააჩნიათ ძალები, მნიშვნელოვანი რაოდენობით — ტექნიკა, იარაღი, საომარი მასალა. მოწინააღმდეგემ, რომელსაც მოეპოვება ვიწრო რკალში განლაგებული ასეთი ძალები, საკმაოდ მძიმერო თავდაცვა შეჭმნა. მან მოასწრო ავგო დიდძალი ძელმიწური საცეცხლე წერტილები, ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო ზღუდეები, ნაღმიანი არეები, მავთულხლართები. აი რატომ არის, რომ გერმანელები კიდევ ახერხებენ გაძლებას, მაგრამ მათ ირგვლივ რკალი ვიწროვდება, ისინი ზედიზედ განიცდიან დამარცხებას. მათი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო კრიტიკული ხდება.

კაპიტანი პ. ოლენდერი.
უფროსი ლეიტენანტი ვ. კუდრიავცევი.
„კრასნაია ზვეზდა", 3 იანვარი.

უცხოეთის პრესა წითელი არმიის შეტევის შესახებ

ა. შ. შტატები

„ყველაზე სასიხარულო ამბავი ახალი წლის მიჯნაზე"

ნიუ-იორკი, 5 იანვარი (საკდესი). ამერიკული გაზეთები ვრცელ კომენტარებს უძღვნიან საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობას სტალინგრადის მისადგომებზე საბჭოთა ჯარების ექვსი კვირის შეტევის შედეგების შესახებ.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" აცხადებს, რომ წითელმა არმიამ თავისი დიდი შეტევის პროცესში უკვე სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. ამ წარმატებათა შორის ყველაზე დიდნაშვნელოვანია გერმანიის ჯარების დამარცხება სტალინგრადის რაიონში. ამან გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ჰიტლერის პრესტიჟს და საფრთხე შეუქმნა ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფ გერმანიის არმიას.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს სამხედრო შემომხილველი სიმპსონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წითელი არმიის ნაწილების შეტევა სახელს უტეხს გერმანელი ხალხის თვალში ჰიტლერს, რომელიც ცდილობდა დაერწმუნებინა გერმანელები, რომ წლევანდელი ზამთარი გერმანიის არმიისათვის შარშანდელზე ნაკლებ სამძიმო იქნებოდა. ჰიტლერის 22 დივიზია უკვე გარშემორტყმულია სტალინგრადის რაიონში. ამ რაიონში გერმანიის ჯარები უკვე აღარ იცავენ გერმანელთა ძალებს, რომლებიც შეჭრილი არიან ჩრდილოეთ კავკასიაში. პირიქით, კავკასიონის მთის კალთები პოტენციალურ მახედ გადაიქცა იქ მყოფი გერმანელთა ჯარებისათვის. წარსულ ზამთარს ჰიტლერი ასეთ სერიოზულ საფრთხეში არა ყოფილა, როგორშიც ამ ზამთარს არის, რადესაც საბჭოთა ჯარებმა თავიანთი სწრაფი შეტევით მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს ჰიტლერის არმიები ამ რაიონში.

წითელმა არმიამ, — სწერს გაზეთი „გლობი", რომელიც ბოსტონში გამოდის,—საბჭოთა ხალხს და ყველა გაერთიანებულ ქვეყნებს ისეთი საჩუქარი მიუძღვნა, რომელიც განამტკიცებს იმის იმედს, რომ 1943 წელი საბოლოო გამარჯვების მიღწევის წელი გახდება.

ინგლისი

„რუსეთის არმიებმა მსოფლიო გააოცეს"

ლონდონი, 5 იანვარი (საკდესი). ინგლისის გაზეთები კვლავ ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე ათავსებენ ცნობებს წითელი არმიის შეტევითი ბრძოლების მიმდინარეობის შესახებ. ცნობები იმის შესახებ, რომ წითელი არმიის ნაწილებმა უეცარი დარტყმით დაიკავეს მოზდოკი და მალგობეკი, გამოქვეყნებულია უზარმაზარი სათაურებით. მოწონავე სტატიებსა და სამხედრო მიმოხილველთა სტატიებში კომენტარები უკეთდება ცნობებს საბჭოთა ჯარების შეტევის შესახებ.

გაზეთი „ობსერვერი" მოწონავე სტატიაში სწერს, რომ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა სტალინგრადის მისადგომებზე საბჭოთა ჯარების ექვსი კვირის შეტევის შედეგების შესახებ ახასიათებს იმ წარმატებათა მასშტაბს, რომლებსაც უკვე მიაღწია წითელმა არმიამ თავისი შეტევის პირველ სტადიაში. ეს წარმატებანი სამხედრო კატასტროფას უქადიან ღერძის სახელმწიფოებს. ერთი წლის მძიმე განსაცდელი, რომელიც რუსეთმა გადაიტანა, მისი ტრიუმფით დამთავრდა. 1943 წელს ინგლისმა და ამერიკამ ხელი უნდა შეუწყონ იმას, რომ ეს ტრიუმფი საყოველთაო და საბოლოო გახდეს.

სტალინისა და მისი გენერლების ხელმძღვანელობით, — სწერს ჰარვინი გაზეთ „სანდი ექსპრესში", — წითელმა არმიამ გადააჭარბა ყველა იმ სასწაულს, რაც მას წინათ ჩაუდენია.

გაზეთი „ტაიმსი" სწერს, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე შეტევას ეწევა სწორედ ის არმია, რომელიც ჰიტლერმა უკვე „განადგურებულად" გამოაცხადა. „ჰიტლერი, სწერს გაზეთი, — პირველი დამპყრობი როდია, რომელიც დარწმუნდა რუსი ხალხის ძლიერებაში, ხალხისა, რომელიც მძლავრ კონტრიერიშზე გადავიდა მძიმე სამხედრო წარუმატებლობათა შემდეგ".

გაზეთი „სანდი ექსპრესი" მოწონავე სტატიაში სწერს: „რუსეთის არმიებმა მსოფლიო გააოცეს. როდისღა გამოვალთ ჩვენ და ამერიკა? ჩვენ რაც შეიძლება მალე უნდა გამოვიდეთ. ჩვენ მძიმე და სასარგებლო დარტყმა მოვახდინეთ ჩრდილოეთ აფრიკაში. მაგრამ ეს არ კმარა. უნდა გავაკეთოთ მეტი, ამასთან უნდა გავაკეთოთ სწრაფად. თუ ჩვენ შეგვძლებთ ვაიძულოთ გერმანია გადმოიყვანოს 50-60 დივიზია აღმოსავლეთის ფრონტიდან, მაშინ საკმაო